თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №20
30 მარტი 2018 წელი
ქ. თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების ა.ა.ი.პ. „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება კულტურის ცენტრისათვის“ სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.
ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება ქ.თეთრიწყაროში, რუსთაველის ქ.N9-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს/კ84.01.35.024) ნაწილის, 647.70 კვ.მ-ის ა.ა.ი.პ,, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება კულტურის ცენტრისათვის“ ცენტრის არსებობის ვადით პირდაპირი წესით, პირობებიანი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე
საკრებულოს თავმჯდომარე

MUNICIPALITY TETRITSKARO KREBULO * 230869254 *